28. ქეთევან ვასილის ასულ ბაქრაძეს — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სამედიცინო განყოფილების უბნის ექიმს.
29. კიმო ალექსანდრეს ძე ბაჩიაშვილს — თელავის რაიონული პოლიკლინიკის ექიმ-რენტგენოლოგს.
30. ზინა კონსტანტინეს ასულ ბახტაძეს — წულუკიძის რაიონული საავადმყოფოს პოლიკლინიკური განყოფილების გამგეს.
31. ალექსი კირილეს ძე ბელიაევს — ა/კ სამხედრო ოლქის თბილისის საოლქო სამხედრო ჰოსპიტლის განყოფილების უფროსს.
32. მინადორა ზურაბის ასულ ბელქანიას — სამხრეთ ოსეთის ა/ო ბავშვთა საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების ექიმს.
33. ანა სტეფანეს ასულ ბერიძეს — გორის რაიონული საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგეს.
34. პელაგია მიხეილის ასულ ბერძენიშვილს — თბილისის რკინიგზის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების ექიმს.
35. მადლენა ბარონის ასულ ბიბინიშვილს — თბილისის ქალაქის ინფექციური საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.
36. ელენე ივიაზის ასულ ბიტ-სარგისს — თბილისის რკინიგზის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების ექიმს.
37. მარგარიტა გიორგის ასულ ბოლოთაევას — ცხინვალის სტომატოლოგიური პოლიკლინიკის მთავარ ექიმს.
38. ელენე სერგოს ასულ ბონდარენკოს — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სამედიცინო განყოფილების უფროს ექიმს.

39. კარლო ვარლამის ძე **ზორჯაძეს** — თბილისის ქალაქის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მე-3 კლინიკური საავადმყოფოს მთავარ ექიმს.
40. შოთა ეგნატეს ძე **ბუგაინაშვილს** — ონის რაიონისა და რაიონული საავადმყოფოს მთავარ ექიმს.
41. სერგო ნიკოლოზის ძე **ბუკიას** — ზუგდიდის ქალაქის პოლიკლინიკის თერაპიული განყოფილების გამგეს.
42. თამარ აბესალომის ასულ **ბუკია-ქავთარაძეს** — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მე-20 პოლიკლინიკის ექიმ-თერაპევტს.
43. პეტრე ვლადიმერის ძე **ბურჭულაძეს** — თბილისის ქალაქის ინფექციური საავადმყოფოს მე-2 განყოფილების გამგეს.
44. ელეონორა ანტონის ასულ **ბუცხრიკიძეს** — მიაკოვსკის რაიონული პოლიკლინიკის ექიმ-რენტგენოლოგს.
45. შოთა აკაკის ძე **გაყურელიძეს** — რესპუბლიკური ფსიქიატრიული კლინიკური საავადმყოფოს მთავარ ექიმს.
46. რაისა კასიანეს ასულ **გაჩეჩილაძეს** — თბილისის ბავშვთა მე-18 პოლიკლინიკის ექიმს.
47. გრიგოლ გიორგის ძე **გვეგელიას** — თბილისის ქალაქის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის ექიმს.
48. პავლე სერგოს ძე **გელაშვილს** — სიღნაღის რაიონის წნორის საუბნო საავადმყოფოს მთავარ ექიმს.
49. ანასტასია პლატონის ასულ **გვერდწითელს** — ქალთა ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს.
50. ნოდარ რაყდენის ძე **გვეტაძეს** — თბილისის ქალაქის პირველი საავადმყოფოს ექიმს.
51. თამარ ნოეს ასულ **გიორგაძეს** — გურჯაანის რაიონული საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების ორდინატორს.
52. ნიკოლოზ ივანეს ძე **გოგოლიუკს** — სამხედრო ნაწილის ექიმს.
53. იოსებ ზაქარაიას ძე **გონაშვილს** — წითელწყაროს რაიონისა და რაიონული საავადმყოფოს მთავარ ექიმს.
54. ლუბა სიმონის ასულ **გორგოშიძე-გორგასლიძეს** — თბილისის ქალაქის პირველი კლინიკური საავადმყოფოს სტომატოლოგიური განყოფილების გამგეს.
55. ივანე ათანასეს ძე **გოჩიაშვილს** — თბილისის მე-13 პოლიკლინიკის თერაპიული განყოფილების გამგეს.
56. დიმიტრი ივანეს ძე **გოჩიაშვილს** — თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის ოტოლარინგოლოგიის კაბინეტის გამგეს.
57. ვიქტორ მელიტონის ძე **გუგუშაშვილს** — კურორტ წყალტუბოს მართვის საბჭოს პოლიკლინიკური გაერთიანების ექიმს.
58. ვახტანგ ფილიპეს ძე **გუნიას** — თბილისის № 4 პოლიკლინიკის მთავარ ექიმს.
59. შალვა გიორგის ძე **გურაშვილს** — თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მთავარ ექიმს.

60. ბაგრატ მიხეილის ძე გურგენიძეს — თბილისის რკინიგზის პოლიკლინიკის უბნის ექიმს.

61. ვლადიმერ ვლადიმერის ძე გურგენიძეს — კურორტ აბასთუმნის სანატორიუმ „არაზინდოს“ მთავარ ექიმს.

62. შოთა პავლეს ძე გურგენიძეს — ამბროლაურის რაიონის სოფელ ბუგელის საუბნო საავადმყოფოს გამგეს.

63. გიორგი სოლომონის ძე გუჭუაძეს — ა/კ რკინიგზის სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის სამტრედიის განყოფილების უფროსს.

64. თამარ ვასილის ასულ დადიანიძეს — ა/კ რკინიგზის თბილისის განყოფილების სანეპიდსადგურის ექიმს.

65. მარიამ პლატონის ასულ დელბას — აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური საავადმყოფოს ორდინატორს.

66. ლუბა ერმილეს ასულ დვალისვილს — ბორჯომის რაიონული საავადმყოფოს ინფექციური განყოფილების გამგეს.

67. მარიამ სერაფიონის ასულ დვალს — თბილისის მე-13 პოლიკლინიკის ფუნქციონალურ-დიაგნოსტიკური კაბინეტის გამგეს.

68. ფატმა სულეიმანის ასულ დიასამიძეს — თბილისის № 3 სამშობიარო სახლის ექიმს.

69. ელენე მიხეილის ასულ დიდიას — რესპუბლიკური კარდო-რევმატოლოგიური დისპანსერის ლაბორატორიის გამგეს.

70. კასიანე სევასტის ძე დოლიძეს — ზესტაფონის რაიონული საავადმყოფოს ექიმ-თერაპევტს.

71. დიმიტრი გიორგის ძე დუშუაშვილს — ავჭალის რესპუბლიკური ბავშვთა ტუბერკულოზური სანატორიუმის მთავარ ექიმს.

72. იოსებ სოლომონის ძე ელგულაშვილს — ქ. სოხუმის სამშობიარო სახლის კონსულტანტს.

73. აგრაფინა სპირიდონის ასულ ენუქიძეს — თბილისის ბავშვთა მე-11 პოლიკლინიკის უბნის ექიმს.

74. ნინო ლავრენტის ასულ ესაკიას — პენსიონერს.

75. ელენე სევერიანეს ასულ ესეზუას — ფოთის სამშობიარო სახლის მთავარ ექიმს.

76. ეკატერინე შალვას ასულ ვარდოსანიძეს — თბილისის № 2 სამშობიარო სახლის ექიმს.

77. დანიელ ანდრეას ძე ვასაძეს — თბილისის მე-15 პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილეს.

78. ცაცუნია (დომნა) ბესარიონის ასულ ვაშაკიძეს — თბილისის ბავშვთა მე-13 პოლიკლინიკის ინფექციური კაბინეტის გამგეს.

79. ნათელა ვლადიმერის ასულ ვაჩნაძეს — რესპუბლიკური სტომატოლოგიური პოლიკლინიკის თერაპიული განყოფილების გამგეს.

80. იზრაილ ილიას ძე ვერტგეიმს — სამოქალაქო ავიაციის სამედიცინო სამსახურის ლაბორატორიის ექიმს.

81. იასონ პორფილეს ძე ზარქუას — სამხედრო ნაწილის სამედიცინო სამსახურის უფროს ექიმს.
82. გიორგი ლუკას ძე ზუმბაძეს — ახალციხის რაიონული საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგეს.
83. ოთარ გიორგის ძე ზუმბულიძეს — თბილისის მე-4 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის მთავარ ექიმს.
84. ლუბა მიხეილის ასულ თარგამაძეს — ა/კ სასახლვრო ჯარების ოლქის საოლქო ჰოსპიტლის კლინიკური ლაბორატორიის უფროსს.
85. გრიგოლ ლავრენტის ძე თორღიას — თბილისის ქალაქის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის ექიმს.
86. გიორგი პლატონის ძე თუზბაიას — კურორტ „ცაიშის“ მთავარ ექიმს.
87. იოსებ ვლადიმერის ძე თურქიას — ბედიანის რესპუბლიკური ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარ ექიმს.
88. ევგენი დიმიტრის ძე იმნაძეს — თბილისის ლენინის რაიონის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის გამგეს.
89. ზინაიდა ვასილის ასულ ინასარიძეს — ა/კ რკინიგზის თბილისის ბავშვთა საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების ექიმს.
90. გიორგი აბრამის ძე იორდანიშვილს — თბილისის ქალაქის სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის ექიმს.
91. შიო ორესტის ძე იოსავას — საოლქო სამხედრო ჰოსპიტლის თერაპიული განყოფილების უფროს ორდინატორს.
92. ბაბუცა ესტატეს ასულ ირემაშვილს — თბილისის № 1 ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერის ექიმს.
93. ოთარ პავლეს ძე კავილაძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს.
94. ვარსენიკ ზაქარიას ასულ კაზაროვას — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის ექიმს.
95. შალვა პოლიკარბეს ძე კაკაბაძეს — წულუკიძის რაიონული საავადმყოფოს ექიმს.
96. ვალერიან ბეგლარის ძე კაკუღიას — სამედიცინო-სანიტარული ნაწილის უფროსს.
97. გრიგოლ კონსტანტინეს ძე კაკუშაძეს — მაიაკოვსკის რაიონული საავადმყოფოს ექიმს.
98. დავით აბრამის ძე კანდელაკს — ყვარლის რაიონული საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.
99. თამარ ბიკენტის ასულ კანდელაკს — თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს ექიმს.
100. პავლე რაფიელის ძე კაპანაძეს — სანატორიუმ „ლიკანის“ მთავარ ექიმს.

101. ლია კლიმენტის ასულ კარაბინს — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საპატიმრო ადგილების სამმართველოს სამედიცინო განყოფილების უფროს ინსპექტორ-ექიმს.

102. იოსებ გიორგის ძე კარანაძეს — საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს მთავარ ექიმს.

103. მარიამ ალექსანდრეს ასულ კაჭარავას — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ მოლითის საუბნო ამბულატორიის გამგეს.

104. გუგული ავაკის ასულ კახაძეს — სამტრედიის რაიონული საავადმყოფოს ექიმს.

105. ვერა ერმილეს ასულ კეთილაძეს — თბილისის მე-2 პოლიკლინიკის რენტგენოლოგიური კაბინეტის გამგეს.

106. კორნელი ისაკის ძე კეკელიძეს — კასპის რაიონის მთავარ ექიმს.

107. ალექსანდრე დავითის ძე კერესელიძეს — ქუთაისის № 3 სამშობაირო სახლის განყოფილების გამგეს.

108. ლამარა ბათლომეს ასულ კეჭეუმაძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო მეცნიერებისა და სასწავლო დაწესებულებების მთავარი სამმართველოს უფროს ინსპექტორს.

109. შოთა პავლეს ძე კვიციანიას — ზუგდიდის რაიონული საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგეს.

110. ოლღა ივანეს ასულ კვისის — გაგრის მე-17 პარტყრილობის სახელობის დასასვენებელი სახლის ექიმ-ორდინატორს.

111. ილარიონ იორდანეს ძე კიკვაძეს — თბილისის რკინიგზის ბავშვთა კონსულტაციის უფროსს.

112. ლეილა ნოეს ასულ კილაძეს — საჩხერის რაიონული საავადმყოფოს მთავარ ექიმს.

113. ამბროსი იოსების ძე კირტავას — კურორტ წყალტუბოს პოლიკლინიკური გაერთიანების მთავარ ექიმს.

114. გივი ნიკოლოზის ძე კლდიაშვილს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტუბერკულოზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარ ექიმს.

115. ილია კირილეს ძე კოკაიას — თეთრიწყაროს სამშობაირო სახლის მთავარ ექიმს.

116. შუშანა მარკოზის ასულ კომახიძეს — ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჭურყვეთის საუბნო საავადმყოფოს მთავარ ექიმს.

117. ალექსანდრე ერმილეს ძე კოპალიანს — საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საექიმო შრომითი ექსპერტიზის და პროტეზირების სტაციონარის მთავარ ექიმს.

118. ალექსანდრა ანდრიას ასულ კორიაგინას — ქ. ბათუმის ქალთა კონსულტაციის ექიმ-ორდინატორს.

119. მარიამ გიორგის ასულ კორკოტაშვილს — რესპუბლიკური ონკოლოგიური დისპანსერის ლაბორატორიის გამგეს.



120. ალექსანდრე დიმიტრის ძე კორძახიას — სამხედრო ნაწილის უფროსი ექიმს.
121. დიანა ივანეს ასულ კოსტავას — ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექიმს.
122. გივი მაქსიმეს ძე კოლუაშვილს — თბილისის მარცხენა ნაპირის სასა-დილოების ტრესტის სანიტარულ ექიმს.
123. თამარ ივანეს ასულ კოჭლავაშვილს — საქართველოს სსრ საზოგადო-ებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სამედიცინო განყოფილების საავადმყო-ვო-პოლიკლინიკის ექიმს.
124. თინა სამსონის ასულ კობრეიძეს — სამხრეთ ოსეთის ა/ო პოლიკლი-ნიკის რენტგენოლოგიური კაბინეტის გამგეს.
125. ლევრენტი ნიკოლოზის ძე კუკულაძეს — პენსიონერს.
126. ვალერიან თეიმურაზის ძე კუხალეიშვილს — ქუთაისის ტუბსაწინა-აღმდგეო დისპანსერის ექიმს.
127. ქეთევან (ეთერი) ერმილეს ასულ კუხიანიძეს — რუსთავის ქალაქის საავადმყოფოს ლაბორატორიის გამგეს.
128. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ლასარიშვილს — საქართველოს სსრ ჯან-მრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 სამმართველოს პოლიკლინიკის გამგეს.
129. ალექსანდრე ერასტის ძე ლეჟავას — თბილისის რკინიგზის საავადმყო-ფოს განყოფილების გამგეს.
130. თამარ ივანეს ასულ ლეჟავას — თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს ექიმს.
131. კლავდი ალექსანდრეს ძე ლეცინსკის — ა/კ სამხედრო ოლქის სამხედ-რო-სამედიცინო განყოფილების უფროს ოფიცერს.
132. პლატონ ნარიშკინის ძე ლილუაშვილს — ვანის რაიონის სოფელ გორას საუბნო საავადმყოფოს გამგეს.
133. რევაზ ალექსანდრეს ძე ლოლაძეს — პროფკავშირების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს რწმუნებულ ექიმს.
134. ოთარ სერგოს ძე ლორთქიფანიძეს — თბილისის ქალაქის პირველ კლინიკური საავადმყოფოს მე-3 თერაპიული განყოფილების გამგეს.
135. ნინო დიმიტრის ასულ მაისაიას — თბილისის ფიზიოთერაპიული საა-ვადმყოფოს პოლიკლინიკის გაყოფილების გამგეს.
136. ანებოდისტ ვიქტორის ძე მარუაშვილს — ბოლნისის რაიონული საა-ვადმყოფოს რენტგენოლოგიური კაბინეტის გამგეს.
137. შოთა ასტამურის ძე მარუანიას — ოჩამჩირის სანიტარულ-ეპიდემიო-რი სადგურის მთავარ ექიმს.
138. ალექსანდრა ევგენის ასულ მასხულიას — აჭარის რესპუბლიკური სა-ავადმყოფოს განყოფილების გამგეს.
139. თამარ ლუარსაბის ასულ მაღრაძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთე-ლობის დაცვის სამინისტროს მე-4 სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის ექიმს.

140. გივი ვარლამის ძე მაჭავარიანს — თბილისის მე-7 კლინიკური საავადმყოფოს ექიმს.

141. მარიამ დიმიტრის ასულ მახაშვილს — ლაგოდეხის რაიონული პოლიკლინიკის ექიმს.

142. გერა დავითის ასულ მგელაძე-ბეჟანიშვილს — კანისა და გენეროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს.

143. ზაქარია ვლადიმერის ძე მეგრელიშვილს — ჩოხატაურის რაიონის სოფელ დაბლაციხის საექიმო ამბულატორიის გამგეს.

144. ტიტე სოლომონის ძე მენაბდეს — მახარაძის სტომატოლოგიური პოლიკლინიკის ექიმს.

145. ნორა ვლადიმერის ასულ მენთეშაშვილს — თბილისის მე-17 პოლიკლინიკის ექიმს.

146. იზა დიმიტრის ასულ მერაბიშვილს — აბანთუმნის საკურორტო პოლიკლინიკის ექიმს.

147. გერასიმე ლუარსაბის ძე მეტრეველს — ჰენსიონერს.

148. ალექსანდრა მიხეილის ასულ მიქანაძეს — ა/კ რკინიგზის სოხუმის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების ექიმს.

149. პლატონ მიხეილის ძე მიქაძეს — თბილისის მე-12 პოლიკლინიკის ექიმს.

150. ეკატერინე სამსონის ასულ მიქელაძეს — დმანისის რაიონისა და რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილეს.

151. გაბრიელ ტიმოთეს ძე მოურავიძეს — ახმეტის რაიონისა და რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილეს.

152. შოთა ესტატეს ძე შიავიას — მახარაძის რაიონული საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგეს.

153. შალვა მარკოზის ძე მურვანიძეს — სამხედრო ნაწილის უფროს ექიმს.

154. ქეთევან ანტონის ასულ მუჯირი-ზარამიძეს — თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.

155. თამარ გაბრიელის ასულ მშვენერაძეს — თბილისის ბავშვთა მე-2 საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.

156. ალექსანდრე დიმიტრის ძე მჭედლიშვილს — ქარელის ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერის მთავარ ექიმს.

157. მარგარიტა ალექსანდრეს ასულ მჭედლიშვილს — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სამედიცინო განყოფილების უბნის ექიმს.

158. მიხეილ ალექსის ძე მჭედლიშვილს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ პედიატრს.

159. თამარ ლავრენტის ასულ ნაკაძეს — თბილისის № 3 სამშობიარო სახლის განყოფილების გამგეს.

160. თინა კეკეს ასულ ნემსაძეს — წყალტუბოს რაიონის სოფელ მექვენას საუბნო საავადმყოფოს ექიმს.

161. მოსე თაყას ძე ნიკოლაიშვილს — პენსიონერს.
162. ვერა არტემის ასულ ოკუნეევას — ა/კ სამხედრო ოლქის შტაბის პოლიკლინიკის ექიმს.
163. ლუდმილა გიორგის ასულ პანკოვას — თბილისის ქალთა მე-16 კონსულტაციის ექიმს.
164. სოკრატ ანესტის ძე პეტრიდისს — ზუგდიდის რაიონული საავადმყოფოს ექიმს.
165. დავით ბესარიონის ძე პირჭუშაშვილს — თიანეთის ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერის მთავარ ექიმს.
166. ერვანდ ისაის ძე შამკოჩიანს — ახალციხის რაიონული საავადმყოფოს პოლიკლინიკური განყოფილების გამგეს.
167. კაპიტონ კონსტანტინეს ძე ფვანიახ — ზუგდიდის რაიონისა და რაიონული საავადმყოფოს მთავარ ექიმს.
168. სიმონ ვლადიმერის ძე ფლენტს — ტრესტ „ქიათურმარგანეცის“ სამედიცინო სანიტარული ნაწილის მთავარ ექიმს.
169. ივანე გაბრიელის ძე რამიშვილს — ა/კ რკინიგზის საექიმო სანიტარული სამსახურის უფროსის თანაშემწეს.
170. თამარ (თალიკო) ლეონტის ასულ რევიას — პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ-თანამშრომელს.
171. მერი მიხეილის ასულ რევიშვილს — თბილისის № 2 სამშობიარო სახლის განყოფილების გამგეს.
172. ევგენია გიორგის ასულ რიჟამაძეს — ა/კ რკინიგზის ნავთლუდის პოლიკლინიკის კაბინეტის გამგეს.
173. ვარლამ ვლადიმერის ძე რუსიას — სურამის რესპუბლიკური ორთოპედული საავადმყოფოს მთავარ ექიმს.
174. ვასილ გიორგის ძე საბიაშვილს — რკინიგზის ცენტრალური პოლიკლინიკის ექიმს.
175. თამარ ბესარიონის ასულ საკანდელიძე-ბაგრატიონს — რესპუბლიკური სამედიცინო-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკს.
176. გრიგოლ სარდიონის ძე საკანდელიძეს — კურორტ გაგრის სანატორიუმ „თბილისის“ მთავარ ექიმს.
177. ნიკოლოზ ევგენის ძე სალაყაიას — თბილისის კანისა და ვენეროლოგიის № 2 დისპანსერის ექიმს.
178. მარიამ ვლადიმერის ასულ სარდალიშვილს — სამხრეთ ოსეთის ა/ო კანისა და ვენეროლოგიური დისპანსერის მთავარ ექიმს.
179. გრიგოლ სამსონის ძე სარიას — ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის საუბნო საავადმყოფოს მთავარ ექიმს.
180. გიორგი ნიკოლოზის ძე ხედელნიკოვს — ა/კ სამხედრო ოლქის სამედიცინო სამსახურის უფროსს.
181. ვარლამ ნესტორის ძე სიჭინავას — პენსიონერს.

182. ამლია კონსტანტინეს ასულ სომხიშვილს — გორის ქალაქის პოლიკლინიკის მთავარ ექიმს.

183. ნინო ლავრენტის ასულ სურმაგვას — თბილისის მე-15 პოლიკლინიკის უბნის ექიმს.

184. სოსლან იოსების ძე ტეგეტაშვილს — ღუშეთის რაიონული საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგეს.

185. სერგო მიხეილის ძე ტიტვინიძეს — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სამედიცინო-სანიტარული ნაწილის მთავარ ექიმს.

186. სერგო სიმონის ძე ტორიანს — ახალქალაქის რაიონული საავადმყოფოს ექიმს.

187. შალვა დიმიტრის ძე ტუღუშს — ქ. ბათუმის № 1 საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების მთავარ ექიმს.

188. ლუდმილა დავითის ასულ უზერის — თბილისის № 9 ბავშვთა პოლიკლინიკის მთავარ ექიმს

189. ნიკოლოზ დავითის ძე უშიკაშვილს — თბილისის ქალაქის პირველი კლინიკური საავადმყოფოს მეორე ბავშვთა განყოფილების გამგეს.

190. ზარიფა ბაგირის ასულ ფარაჯაევას — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო სტატისტიკის უფროს ინსპექტორს.

191. ქეთევან კონსტანტინეს ასულ ფარეიშვილ-შლენტს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტის გამგეს.

192. სევერიან ევგენის ძე ფიცხალავას — რესპუბლიკური სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის მთავარ ექიმს.

193. ილია გიორგის ძე ფიცხელაურს — ყაზბეგის რაიონისა და რაიონული საავადმყოფოს მთავარ ექიმს.

194. გიორგი ირაკლის ძე ფორაქიშვილს — მცხეთის რაიონისა და რაიონული საავადმყოფოს მთავარ ექიმს.

195. ელენე ბესარიონის ასულ ფოფხაძეს — თბილისის მე-16 პოლიკლინიკის ექიმს.

196. ნინო მელიტონის ასულ ფურცელაძეს — ქობულეთის რაიონული საავადმყოფოს განყოფილების ორდინატორს.

197. ოლღა ვლადიმერის ასულ ფუტყარაძეს — გორის რაიონული საავადმყოფოს ექიმს.

198. ილია სარდიონის ძე ფუხაევს — სამხრეთ-ოსეთის საექიმო შრომითი საექსპერტო კომისიის თავმჯდომარეს.

199. სერგო ალექსანდრეს ძე ჭავთარაძეს — თბილისის ქალაქის მე-8 კლინიკური საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.

200 მიხეილ ვასილის ძე ქათამაძეს — ტრესტ „ტყებულქვანახშირის“ სამედიცინო-სანიტარული პოლიკლინიკის გამგეს.

201. დავით ჯამულეთის ძე ქანთარიას — თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.

202. ელენე კონსტანტინეს ასულ **ქართველიშვილს** — ქ. თბილისის № 10 ქალთა კონსულტაციის მთავარ ექიმს.

203. კონსტანტინე ალექსანდრეს ძე **ქარსელაძეს** — სამხრეთ ოსეთის ა/ო საოლქო საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილეს.

204. აკაკი ივანეს ძე **ქარჩავას** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო სტატისტიკის რესპუბლიკური ბიუროს ექიმს.

205. თინათინ პარმენის ასულ **ქაჯაიას** — თბილისის რკინიგზის ბავშვთა პოლიკლინიკის ექიმს.

206. თამარ იასონის ასულ **ქელესხაევას** — სამხრეთ ოსეთის ა/ო ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერის საუბნო ფთიზიატრს.

207. იონა ერმილეს ძე **ქემოკლიძეს** — ასპინძის რაიონისა და რაიონული საავადმყოფოს მთავარ ექიმს.

208. რუსან სულეიმანის ძე **ქიჯავას** — აჭარის ვენერიულ დაავადებათა საწინააღმდეგო დისპანსერის მთავარ ექიმს.

209. როდამ ნიკოლოზის ასულ **ქუმსიაშვილს** — თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.

210. თინათინ ოქროპირის ასულ **ქუნთელიას** — გემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს.

211. ვახტანგ დავითის ძე **ღვაზერიძეს** — ზნაურის რაიონის მთავარ ექიმს.

212. ვალენტინე გიორგის ძე **ღვინჯილიას** — სოხუმის საკურორტო პოლიკლინიკური გაერთიანების მთავარ ექიმს.

213. ალექსანდრე ტიმოთეს ძე **ღიბრაძეს** — რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს მე-3 ქირურგიული განყოფილების ექიმ-ორდინატორს.

214. სოფიო ბესარიონის ასულ **ღოდობერიძეს** — წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბის საუბნო საავადმყოფოს მთავარ ექიმს.

215. ოლღა ივანეს ასულ **შალამბერიძეს** — ქუთაისის მე-2 პოლიკლინიკის თერაპიული განყოფილების გამგეს.

216. შოთა გიორგის ძე **შამთავას** — ჩხორთწყუს რაიონის სოფელ ხაბუმის საუბნო საავადმყოფოს მთავარ ექიმს.

217. ვასილ თეოდორეს ძე **შონიას** — ცხაკაიას ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერის მთავარ ექიმს.

218. აპოლონ მოსეს ძე **შონიას** — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სამედიცინო ნაწილის ექიმს.

219. ტატიანა თადეოზის ასულ **შოლაიას** — ხობის რაიონის სოფელ ახალსოფლის საუბნო ამბულატორიის გამგეს.

220. ელზა ნესტორის ასულ **შურღაიას** — ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელს.

221. ანდრია ივანეს ძე **ჩადუნელს** — თბილისის ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების ექიმ-ინსპექტორს.

222. გრიგოლ ერმილეს ძე ჩანტლაძეს — გარდაბნის რაიონის სოფელ სარ-თიჭალის საექიმო უბნის ექიმს.
223. ნელი პლატონის ასულ ჩაჩანიძეს — კურორტ ცემის ბავშვთა სანა-ტორიუმ „მზიურის“ მთავარ ექიმს.
224. გიორგი ზაქარაის ძე ჩეკურიშვილს — რუსთავის ქალაქის საავადმ-ყოფოს განყოფილების გამგეს.
225. გვი მიხეილის ძე ჩიკოიძეს — საოლქო სამხედრო ჰოსპიტლის გან-ყოფილების უფროსს.
226. გიორგი ალექსანდრეს ძე ჩინჩალაძეს — საქართველოს სსრ ჯანმრ-თელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური რენტგენოლოგიური სადგუ-რის მთავარ ექიმს.
227. სათო გრიგოლის ასულ ჩიქოვანს — საქართველოს სსრ ჯანმრთელო-ბის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკის საბავშვო ბაგის გამგეს.
228. გიორგი ონისიმეს ძე ჩიხლაძეს — ქუთაისის სტომატოლოგიური პო-ლიკლინიკის განყოფილების გამგეს.
229. თეიმურაზ ევსევის ძე ჩიხლაძეს — შრომის დაცვის ინსტიტუტის ლაბორატორიის უფროსს.
230. ნადეჟდა გიორგის ასულ ჩიხლაძეს — თბილისის ლენინის რაიონის სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის ექიმს.
231. ზევარ კვიციანის ასულ ჩხაიძეს — თბილისის რკინიგზის ცენტრალუ-რი პოლიკლინიკის კარდიორევატოლოგიური კაბინეტის ექიმს.
232. ნინო ნოეს ასულ ჩხატარაშვილს — ბათუმის № 1 საავადმყოფოს ქი-რურგიული განყოფილების გამგეს.
233. ბორის ზევენის ძე ჩხეიძეს — თბილისის № 4 ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერის მთავარ ექიმს.
234. გიორგი ნიკოლოზის ძე ჩხეიძეს — თბილისის კალინინის რაიონის მთავარ ექიმს.
235. დავით გიორგის ძე ჩხეიძეს — ექიმთა დახელოვნების თბილისის სა-ხელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მასწავლებელს.
236. სვიატოსლავ ბენიამინის ძე ჩხიკვიშვილს — თბილისის ქალაქის ინ-ფექციური საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილეს.
237. ვალაქტიონ ებიფანეს ძე ცაგარელს — ა/კ რკინიგზის საგზაო სანიტა-რულ-ეპიდემიური სადგურის ლაბორატორიის განყოფილების უფროსს.
238. ესტატე ალექსანდრეს ძე ცომაიას — რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს სტატისტიკური კაბინეტის გამგეს.
239. თეიმურაზ ევგენის ძე ძიძიგურს — ბორჯომის რაიონისა და რაიონუ-ლი საავადმყოფოს მთავარ ექიმს.
240. ვიზო სევასტიანის ძე წულაიას — საქართველოს სსრ საზოგადოებ-რივი წესრიგის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური საავადმყოფოს უფროსს.
241. იოსებ გრიგოლის ძე ჭავჭავანიძეს — რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს მე-2 თერაპიული განყოფილების ექიმ-ორდინა-ტორს.



242. თამარ გიორგის ასულ ქანიშვილს — რესპუბლიკური საექიმო-ფიზიკულტურის დისპანსერის ფიზიო-კაბინეტის გამგეს.

243. დავით ამბროსის ძე ჭანტურიას — კურორტ აბასთუმნის სანატორიუმ „აღობილის“ მთავარ ექიმს.

244. ლოლა ფარნას ასულ ჭანტურიას — წალენჯიხის რაიონული საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.

245. ლევან გიორგის ძე ჭაჭიაშვილს — თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.

246. თამარ ვიქტორის ასულ ჭედეიას — ა/კ სამხედრო ოლქის შტაბის პოლიკლინიკის ექიმს.

247. გრიგოლ ივანეს ძე ჭელიძეს — სამხედრო ნაწილის ექიმს.

248. აღმასხან გერასიმეს ძე ჭიჭალუას — გეგეჭკორის რაიონისა და რაიონული საავადმყოფოს მთავარ ექიმს.

249. კონსტანტინე ფარსადანის ძე ჭიჭინაძეს — თბილისის № 1 სამშობიარო სახლის განყოფილების გამგეს.

250. ოლა ვარლამის ასულ ჭიჭინაძეს — ქ. რუსთავის ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერის მთავარ ექიმს.

251. გრიგოლ ნიკოლოზის ძე ჭკუასელს — ხაშურის რაიონული პოლიკლინიკის თერაპიული განყოფილების გამგეს.

252. ლეილა ალექსანდრეს ასულ ხაჭაპურიძეს — თბილისის პირველი მთავარ რაიონის მთავარ ექიმს.

253. ვახტანგ ტარასის ძე ხაჭაპურიძეს — თბილისის ბავშვთა მე-3 საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.

254. ნოე კონსტანტინეს ძე ხაბუას — ქ. ფოთის მეზღვაურთა საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.

255. იონა რაფიელის ძე ხელაძეს — ზესტაფონის რაიონის მთავარ ექიმს.

256. ავთანდილ გიორგის ძე ხერხეულიძეს — ხაშურის რაიონის სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის მთავარ ექიმს.

257. ალექსანდრა თეოფილეს ასულ ხვინგიას — ჩოხატაურის რაიონული პოლიკლინიკის ექიმს.

258. ეთერ ლევანის ასულ ხომასურიძეს — კურორტ წყალტუბოს სანატორიუმ „წყალტუბოს“ განყოფილების გამგეს.

259. ვახტანგ გალაქტიონის ძე ხუციძეს — თბილისის ქალაქის პირველი კლინიკური საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.

260. იოსებ დავითის ძე ჭაბადარს — საგარეჯოს რაიონული საავადმყოფოს ექიმ რენტგენოლოგს.

261. შალვა იოსების ძე ჭავჭავიძეს — სიღნაღის რაიონული საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.

262. დავით ებიფანეს ძე ჭალაღონიას — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთის საუბნო საავადმყოფოს მთავარ ექიმს.

263. ლუბა ალექსანდრეს ასულ ჭიკაივას — კურორტ ცემის ბავშვთა სანატორიუმ „განთიადის“ მთავარ ექიმს.

264. ვახტანგ მელიტონის ძე ჯიჭონაიას — სამხედრო ნაწილის სამედიცინო სამსახურის უფროსს.

265. ნინო ივანეს ასულ ჯოხაძეს — გურჯაანის რაიონის სოფელ გურჯაანის საუბნო ამბულატორიის გამგეს.

266. ნინო ლუკას ასულ ჯოხაძეს — თბილისის მე-9 პოლიკლინიკის ონკოლოგიური კაბინეტის გამგეს.

### საქართველოს სსრ დამსახურებული პროვიზორის:

1. შოთა სერგოს ძე აბაშიძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

2. მიხეილ იოსების ძე არველაძეს — თბილისის ქალაქის პირველი კლინიკური საავადმყოფოს აფთიაქის მმართველს.

3. მასურია ვლადიმერის ასულ ბაქრაძეს — თბილისის ქიმიკო-ფარმაცევტული ქარხნის საამქროს ცვლის უფროსს.

4. მარიამ ნიკოლოზის ასულ იაშვილს — თბილისის ქიმიკო-ფარმაცევტული ქარხნის საამქროს უფროსის მოადგილეს.

5. ნინო პავლეს ასულ კობახიძეს — თბილისის ქიმიკო-ფარმაცევტული ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის უფროსს.

6. დარია შალვას ასულ კურცხალიას — გარდაბნის რაიონის კოჯრის აფთიაქის მმართველს.

7. ნინო ვიორგის ასულ ლაღაძეს — თბილისის ქიმიკო-ფარმაცევტული ქარხნის საამქროს ცვლის უფროსს.

8. ოლა ისმაილის ასულ ლოლაძეს — რუსთავის ინფექციური საავადმყოფოს აფთიაქის გამგეს.

9. ასინეთი კონსტანტინეს ასულ მუჯიას — გურჯაანის ცენტრალური რაიონული აფთიაქის პროვიზორი.

10. ვარვარა პეტრეს ასულ მურადოვას — თბილისის № 14 აფთიაქის ქიმიკოს-ანალიტიკოსს.

11. სევერიანე კალეს ძე ნინიძეს — სოხუმის № 4 აფთიაქის მმართველს.

12. სტეფანე ზურაბის ძე პიპინაშვილს — გურჯაანის ცენტრალური რაიონული აფთიაქის მმართველს.

13. ალექსი ნიკოლოზის ძე სიგუას — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს აფხაზეთის განყოფილების მმართველს.

14. ტასო ონისიმეს ასულ სვანიძეს — ამბროლაურის ცენტრალური რაიონული აფთიაქის მმართველს.

15. სიმონ ივანეს ძე უჯმაჯურიძეს — მახარაძის სარაიონთაშორისო საკონტროლო ანალიზური ლაბორატორიის გამგეს.

16. ლუბა ბეჟანის ასულ ფირცხალიაშვილს — თბილისის ქიმიკო-ფარმაცევტული ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის უფროსის მოადგილეს.

17. ვერა რაქდენის ასულ ქორქიას — თბილისის ქიმიკო-ფარმაცევტული ქარხნის საამქროს უფროსს.

18. ნინო გიორგის ასულ ქორჩაშვილს — თბილისის ქიმიკო-ფარმაცევტული ქარხნის უფროს ფარმაცოლოგს.
19. ანა სტეფანეს ასულ ქრისტესაშვილს — თბილისის ქიმიკო-ფარმაცევტული ქარხნის საამქროს ცვლის უფროსს.
20. ვახტანგ იაკიმეს ძე ლაღანიძეს — თბილისის № 26 აფთიაქის მმართველს.
21. ალექსანდრე პავლეს ძე ღვინიაშვილს — თბილისის № 24 აფთიაქის მმართველს.
22. ალექსანდრე სილოვანის ძე ჩინჩალაძეს — ა/კ რკინიგზის ქუთაისის № 11 აფთიაქის გამგეს.
23. ქეთევან მიხეილის ასულ ცაგარელს — თბილისის ქიმიკო-ფარმაცევტული ქარხნის უბნის უფროსს.
24. ტატიანა ივანეს ასულ წიქვაძეს — ბათუმის № 1 აფთიაქის მმართველის მოადგილეს.
25. შალვა ლევანის ძე ჭაბუკიანს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს „საქმედტექნიკის“ სამმართველოს მე-2 განყოფილების გამგეს.
26. ელენე დიმიტრის ასულ ჭანიშვილს — აფხაზეთის რესპუბლიკური საკონტროლო-ანალიზური ლაბორატორიის გამგეს.
27. ნორა ბარნაბის ასულ ჭყონიას — ქ. ბათუმის № 5 აფთიაქის მმართველს.
28. ნადეჟდა ბეგლარის ასულ ზურციძეს — წყალტუბოს რაიონის სოფელ გუმბრინის აფთიაქის მმართველს.
29. დიმიტრი თევდორეს ძე ჯაფარიძეს — თბილისის ქიმიკო-ფარმაცევტული ქარხნის დირექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაძე.

თბილისი, 1967 წლის 26 ოქტომბერი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**426** ამხ. ი. ბ. რთველიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. იოსებ გიორგის ძე რთველიაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაძე.

თბილისი, 1967 წლის 10 ოქტომბერი.

ზრძანებულაჲსა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**427** ამხ. მ. ვ. იაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიაში ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სამხედრო კომისარიატის პოლიტიკური განყოფილების უფროსი ამხ. მიხეილ ვიქტორის ძე იაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწანიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვამბაძე**.

თბილისი. 1967 წლის 21 ოქტომბერი.

ზრძანებულაჲსა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**428** ამხ. ზ. ვ. გივიზარიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ამხ. ბორის გერასიმეს ძე გივიზარია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწანიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვამბაძე**.

თბილისი. 1967 წლის 21 ოქტომბერი.

ზრძანებულაჲსა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**429** ამხ. ვ. ვ. ამირანაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი ამხ. პეტრე ვარლამის ძე ამირანაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწანიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვამბაძე**.

თბილისი. 1967 წლის 23 ოქტომბერი.



ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**430** ამხ. დ. კ. კაპაბაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართულ საბჭოთა პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ რედაქტორი ამხ. დავით კონსტანტინეს ძე კაპაბაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **წ. კაპაბაძე**.

თბილისი. 1967 წლის 23 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**431** ამხ. ს. ა. სილაგაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი ამხ. სერგო ამბროსის ძე სილაგაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **წ. კაპაბაძე**.

თბილისი. 1967 წლის 23 ოქტომბერი.

**განყოფილება მისამ**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში**

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის სხდომა.

მოსენებით — სიღნაღის რაიონის კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის შესახებ ოქტომბრის რეგოლუციის 50 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით, გამოვიდა კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი **ს. რიგვავა**.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ სიღნაღის რაიონის კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებები სერიოზულ მუშაობას ეწევიან ოქტომბრის რეგოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების საქმეში, კულტურის სახლებში, კლუბებში და ბიბლიოთეკებში სისტემატურად ეწყობა დიადი თარიღისადმი მიძღვნილი საღამოები, ლექცია-მოსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები და სხვ.

სხდომაზე აღინიშნა ზოგიერთი ნაკლოვანებანიც კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის საქმეში. არადაპაკმაყოფილებლად მუშაობენ ბოღბისხევის, მაღაროს, ულიანოვკის სასოფლო კლუბები, მათ არ ყავთ შემოკრებილი აქტივი, იშვიათად ეწყობა ლექციები და მოხსენებები. ნაკლოვანებებია ზოგიერთი სასოფლო ბიბლიოთეკის მუშაობაში, რომლებიც ვერ ასრულებენ მკითხველთა მომსახურებისა და წიგნის გაცემის გეგმას. მათ საქმიანობაში არ არის გამოყენებული საბიბლიოთეკო მომსახურების აქტიური ფორმები და მეთოდები.

საკითხის განხილვის გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს კომისიის წევრმა დეპუტატებმა: გ. ყიფიანმა, ნ. მგელიაშვილმა, ა. მექვაბიშვილმა, რ. ლალიძემ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროსმა ა. კალანდარიშვილმა, სიღნაღის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მაზიაშვილმა, სიღნაღის რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ ი. სიმონიშვილმა და სხვებმა.

განხილული საკითხის გამო კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაჭაძემ.

\* \* \*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა მისი თავმჯდომარის დეპუტატ მ. საბაშვილის მოხსენება გეგმუქორის, ოჩამჩირის, ჩოხატაურისა და წულუკიძის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავების მდგომარეობის შესახებ.

შემოწმებული რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უკანასკნელ წლებში სერიოზული ღონისძიებებია განხორციელებული ჩაის წარმოების გადიდების უზრუნველსაყოფად. გაშენდა ბევრი ახალი პლანტაცია. ამასთან დიდი ყურადღება ექცევა არსებული პლანტაციების მოვლა-დამუშავებას. ჩაის პლანტაციების გასხვლის, გაპოხიერების, გათოხვნისა და სხვა სამუშაოთა შესრულების დროს ფართოდ არის გამოყენებული მექანიზაცია. ამ რაიონებში ყოველწლიურად იზრდება ჩაის პლანტაციების ფართობი და საშუალო პექტარობრივი მოსავლიანობა, რის შედეგადაც საგრძნობი გადაჭარბებით სრულდება ჩაის ფოთლის კრეფის გეგმები და ვალდებულებანი.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ მიუხედავად დიდი მიღწევებისა, ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავების საქმეში შემოწმებული რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. ახალი ჩაის პლანტაციების ნაწილი სათანადოდ არ არის დაცული.

რიგ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ჩაის მეჩხერიანობას, არადაპაკმაყოფილებლად არის მოწყობილი ჩაის მექანიზებული კრეფა.

ნაკლოვანებებია ჩაის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

სათანადო ფარდულების უქონლობის გამო ჩაის საკრეფი მანქანები და სხვა ტექნიკა ზოგიერთ კოლმეურნეობაში ღია ცის ქვეშაა.



საკითხის განხილვის გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს: კომისიის წევრები დეპუტატებმა: მ. ორაგველიძემ, შ. მახაძემ, ი. კეკელიძემ, შ. ვერტლავილიძემ, გ. კავთიაშვილმა, პ. გუნიამ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამმართველოს უფროსმა პ. ჯობინაძემ, წულუკიძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ შ. სალინაძემ და სხვებმა.

კომისიამ განხილული საკითხის გამო მიიღო სათანადო დადგენილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაჭაძემ.

\* \* \*

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო საბიუჯეტო კომისიის მიერ გამოყოფილი ქვეკომისიების სხდომები.

ქვეკომისიებმა, რომელთაც ხელმძღვანელობენ დეპუტატები დ. აბუთიძე, მ. დანელია, თ. მოსაშვილი, ს. რიგვავა, მოისმინეს საავტომობილო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ადგილობრივი მრეწველობის, ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდის და ხისდამამუშავებელი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეღორაყიისა და წყალთა მეურნეობის, ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, უმაღლესი სკოლებისა და საშუალო სპეციალური განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, განათლების, სოციალური უზრუნველყოფის, კომუნალური მეურნეობის, მშენებლობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, სასოფლო მშენებლობის, მსუბუქი მრეწველობის, კვების მრეწველობის სამინისტროების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის, ბეჭდვითი სიტყვის, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის, პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტების, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“, „ეკავშირის“ გამგეობის მოხსენებანი მათ მიერ 1966-67 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ სახელმწიფო გეგმებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საქმეში, აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1968 წლის სახელმწიფო გეგმის, სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 და 1970 წლების გეგმებისა და 1968 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების შესახებ.

სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა მოხსენებების მოსმენა-დე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები — ქვეკომისიების წევრები, წარმოდგენილი მასალების საფუძველზე წინასწარ გაეცნენ სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობას.

ქვეკომისიებმა სათანადო რეკომენდაციები და დასკვნები წარუდგინეს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიას.

18 ოქტომბერს გაიმართა საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა დეპუტატ დ. გელაშვილის თავმჯდომარეობით.

კომისიამ მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ი. მიქელაძის მოხსენება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1968 წლის სახელმწიფო გეგმისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 და 1970

წლების გეგმების შესახებ“ და საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის ა. ჭირაქაძის მოხსენება „საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეჩვენება“.

საკითხის განხილვაში გარდა კომისიის წევრი დეპუტატებისა მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სამინისტროების, უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, საოლქო და ზოგიერთი რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომების წარმომადგენლები.

კომისიის სხდომაზე წამოჭრილ საკითხებზე ამომწურავი პასუხები გასცეს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ი. მიქელაძემ და ფინანსთა მინისტრმა ა. ჭირაქაძემ.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაჭაძემ.

\* \* \*

ბუნების დაცვის მუდმივმა კომისიამ განიხილა ნაკრძალების მოვლისა და დაცვის მდგომარეობა საქართველოს სს რესპუბლიკაში. მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. ნონეშვილმა. საკითხის განხილვის გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს კომისიის წევრებმა — დეპუტატებმა: ვ. უნგიაძემ, კ. ჯამრულიძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ჩოდრიშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალების და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ კ. მამისაშვილმა, საქართველოს სსრ მონადირეთა კავშირის თავმჯდომარემ ს. როსტიაშვილმა, საქართველოს სსრ „ბუნების მეგობრის“ ნებაყოფლობითი საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ თ. ნატროშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ცქიტიშვილმა.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

\* \* \*

სახალხო განათლების და მეცნიერების მუდმივი კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა მისი თავმჯდომარის დეპუტატ ი. ბუაჩიძის მოხსენება სოფლად მომუშავე მასწავლებელთა საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობების მდგომარეობის შესახებ ბოგდანოვკის, წალენჯიხის, წალკის, ორჯონიკიძის, ხაშურის და ლანჩხუთის რაიონებში.

საკითხის განხილვის გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა დ. ლაშქარაძემ, ი. ხომერყიამ, ა. ბლრციანმა და სხვებმა.

კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

\* \* \*

საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიამ მოისმინა მისი წევრის დეპუტატ პ. ბერძენიშვილის მოხსენება რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში იურიდიული პროპაგანდის მდგომარეობის შესახებ.



სამტრედიის	რაიონიდან	.	.	.	.	.	.	33
სახჩერის	"	.	.	.	.	.	.	15
ქარელის	"	.	.	.	.	.	.	14
ჩხოროწყუს	"	.	.	.	.	.	.	46
ჩოხატაურის	"	.	.	.	.	.	.	3
წალკის	"	.	.	.	.	.	.	26
წითელწყაროს	"	.	.	.	.	.	.	9
ხაშურის	"	.	.	.	.	.	.	16
ხობის	"	.	.	.	.	.	.	4